პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 15 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

№ 6 | საქ. საბჭ. მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი | № 6

1931 წ. დეკემბრის 21

შემოქმედებითი დისკუსიის გაშლისათვის

საბჭოთა მწერლების ფედერაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს შემოქმედებითი დისკუსიის გაშლა.

შემოქმედებითი მეთოდის საკითხები პირველად წამოაყენა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ. „მემარცხენეებთან", „ლიტფრონტთან", პერევერზევთან და სხვ. ანტი-მარქსისტულ, ანტი-ლენინურ შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ამუშავებდა პროლეტარული მწერლობა დიალექტიურ-მატერიალისტურ შემოქმედებითი მეთოდის საკითხებს.

შემოქმედებითი დისკუსიის წარსულ ეტაპს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში თავის დადებით მხარეებთან ერთად მრავალი და არსებითი ნაკლოვანებები, უარყოფითი მხარეები ახასიათებდა. ეს ნაკლოვანებები უმთავრესად გამოიხატებოდა იმაში, რომ კრიტიკა მეტად მცირე რიცხოვან მხატვრულ ნაწარმოებებს აქცევდა ყურადღებას, დისკუსია მეტად დაბალ თეორეტიულ დონეზე იდგა და მეტის-მეტად განყენებულ სახეს ატარებდა. უმეტეს შემთხვევაში დისკუსია შორდებოდა კონკრეტიულ მხატვრულ პრაქტიკას, კონკრეტულ ამოცანებს, რომელსაც პროლეტარული ლიტერატურის წინაშე აყენებდა სოციალისტური მშენებლობის ახალი პერიოდი.

შემოქმედებითი დისკუსიის ახალ ეტაპზე უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტულ მხატვრულ პრაქტიკას, შემოქმედებითი ამოცანები მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, დისკუსიის თეორეტიული დონე უნდა ავამაღლოთ, თვით კრიტიკა ფართოდ უნდა გაიშალოს და გაღრმავდეს და სხვ.

[illegible] მტკიცედ დაცვის ნიადაგზე შეიძლება პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი წინსვლა და შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბება.

მაგრამ ეს ცოტა იქნება. ასეთივე შემოქმედებითი დისკუსია აუცილებლათ უნდა ჩატარდეს საბჭოთა ლიტერატურის სხვა რაზმებშიაც. სამწუხაროთ შემოქმედებითი საკითხების გარკვევა ჯერ-ჯერობით სრულიად არ დაწყებულა თანამგზავრებში და მოკავშირეებში.

თანამგზავრების მოკავშირეებათ გადაქცევის პროცესს, თანამგზავრების და მოკავშირეების მოახლოებას პროლეტარიატის იდეოლოგიასთან და პრაქტიკასთან, მათ მიერ დიალექტიურ მატერიალიზმის მსოფლმხედველობის დაუფლებას თან უნდა ახლდეს მათი შემოქმედებითი გამოცდილების გათვალისწინება და გარკვევა. თანამგზავრების და მოკავშირეების შემოქმედების ასეთი გარკვევა საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მათ შორის შემოქმედებითი კლასიური დიფერენციაცია.

თანამგზავრები და მოკავშირეები ეხლავე უნდა შეუდგენ შემოქმედებითი დისკუსიას. მისი ჩაუტარებლობა საშუალებას აძლევს ლიტერატურულ რეაქციის წარმომადგენლებს, რომლებიც ეფარებიან თანამგზავრების „მთლიან" შემოქმედებითი სახეს, განამტკიცონ თავიანთი გავლენა მერყევ ფენებზე.

„სალიტერატურო გაზეთი" დღეიდან ფართო ადგილს დაუთმობს დისკუსიას შემოქმედებითი საკითხებზე. მის ფურცლებზე გულდასმით განხილული იქნება პროლეტარულ, თანამგზავრულ და მოკავშირე ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნდა უკანასკნელ წლებში.

მთელი ჩვენი ყურადღება შემოქმედებითი დისკუსიის გაშლას, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რათა მწერლობამ დასძლიოს სოციალისტური მშენებლობის ტემპებისაგან ჩამორჩენა!

დიდმნიშვნელოვანი პლენუმი

ამ დღეებში ქ. მოსკოვში დასრულდა რუსეთის პროლეტარულ [მწ]ერალთა ასოციაციის „რაპპ"-ის [გა]ფართოებული პლენუმი. ეს პლენუმი [თა]ვისი ხასიათით და მუშაობით [პრო]ლეტ-ლიტერატურულ მოძრაო[ბის] ისტორიაში უსათუოდ ისტორი[ულ]ი პლენუმი იყო. პლენუმის წინა[შე] იდგა ახალი მუშაობის, ახალი [ამოც]ანების და წინსვლის საკითხები. [პლენ]უმის წინაშე იდგა ის საკითხე[ბი, რ]ომელნიც უკანასკნელ ხანებში [გაშ]ლილ დისკუსიის საგანს [შეადგ]ენენ. მას უნდა გაეცა გარკვე[ული] პასუხი იმ მოთხოვნილებებისა[თვის], რაც მის წინაშე წამოაყენა [პარტ]იამ, კომკავშირმა.

[პ]არტიამ მიუთითა რაპპს მთელ [მის] შეცდომებზე და ნაკლოვანებებ[ზე]. რაპპმა მიიღო ეს მითითებანი [და მონ]ახა გზები გარდატეხისა და [გა]ლიისათვის.

[პ]ლენუმის მნიშვნელობა იმაში [მდგო]მარეობდა, რომ მან ერთგვარი [შეჯამებ]ა გაუკეთა პროლეტ-ლიტერატუ[რულ] მოძრაობის განვლილ გზებს, [მიღწევ]ა და მიღწევათ აღიარა ყვე[ლაფერ]ი ის, რაც თავის განვითარე[ბაში] ხაზი ბოლშევიკურ მსვლელო[ბ]ას [illegible], ხოლო [illegible] და დაგმო ყველაფერი ის, რაც მცდარი და შემაფერხებელ ნაკლოვანებას წარმოადგენდა.

პარტიულობისათვის ბრძოლის გაძლიერება, თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, ლიტერატურული მაგნიტოსტროის მოცემა, ბრძოლა მაღალი იდეურ-თეორეტიულ დონისათვის, ბრძოლა ლიტერატურის თეორიაში ლენინიზმისათვის, ბრძოლა დიად ბოლშევიზმის ხელოვნებისათვის, — აი, პლენუმის საბრძოლო ლოზუნგები.

ამ ლოზუნგებისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა პლენუმის მთელი მუშაობა. ამ ამოცანების ღრმა და ფართო გაშუქებისა და ფართო ნიშნის ქვეშ ჩატარდა რაპპის გენერალური მდივნის ამხ. **ლ. ავერბახის** მოხსენება.

ჩვენმა პლენუმმა უნდა აჩვენოს, — განაცხადა ამხ. ავერბახმა, — რამდენად გავითვალისწინეთ დისკუსიის გაკვეთილები, ვაკეთებთ თუ არა აქედან სათანადო დასკვნებს ჩვენი პლენუმი უნდა გახდეს ყველას დასანახად გადამწყვეტი გარდატეხისა და გამოცდის ალბუმი. დაკავშირებით ამ საკითხებთან, მომხსენებელი გამოვიდა ბოლშევიკური თვითკრიტიკით, განვლილი შეცდომებისა და, ნაკლოვანებების მკაცრი კრიტიკით. ჩვენ უნდა ვაკრიტიკებდეთ ჩვენ თავს მეტი სიღრმით, გაფართოებით და თანმიმდევრობით, — განაცხადა მან, გაუკრიტიკებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი შეცდომა.

პარტიის მიერ მოცემული დირექტივები ჩვენს მიერ ჯერ კიდევ არ არიან რეალიზაციაქმნილნი. ამით აიხსნება ჩვენი სისუსტე უკანასკნელ დისკუსიაში. ვიცავდით რა სწორ შემოქმედებითი ლოზუნგებს. ჩვენ, საოცრებო პატივმოყვარეობის გამო, ვერ ვაფასებდით ამ დისკუსიის უმნიშვნელოვანეს მხარეებს. **ჩვენ არა სწორად ვაფასებდით ამხ. კოსარევის გამოსვლას და სხვ.**

გენერალური ხაზი ჩვენი ამოცანებისა თეორიის დარგში ლენინური ფილოსოფიური მემკვიდრეობის დაუფლებაა, ჩვენი გენერალური ლოზუნგი თეორეტიულ მუშაობაში უნდა იყოს ლოზუნგი ლენინური ლიტერატურული თეორიისათვის, ლიტერატურის პარტიულობისათვის!

მოხსენების თეორეტიულ ნაწილში ამხ. ავერბახი ფართოდ შეეხო ყველა ლიკვიდატორულ თეორიებს და აგრეთვე რაპპ-ის ხაზს თეორიულ მუშაობაში, და აღნიშნა, რომ რაპპის ხაზი ძირითადათ სწორი იყო. ძირითადათ ჩვენ სწორი თეორეტიული ხაზი გვქონდა, მაგრამ ჩვენ უშვებდით პლეხანოვისებურ შეცდომებს. მომხსენებელმა აღნიშნა ამ შეცდომების ხასიათი, დებორინიზმის ელემენტები, გაუმიჯნავების ლოზუნგის მოხსნის აუცილებლობა და სხვ.

კამათი ამხ. ავერბახის მოხსენების გარშემო ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. აღსანიშნავია ამ კამათში ამხ. **ბეზიმენსკის** გამოსვლა, რომელმაც ხაზი გაუსვა რაპპის ლიტერატურულ პოლიტიკურ ხაზის სისწორეს, აღნიშნა თავისი ლიტფრონტული შეცდომები, განაცხადა სურვილი რაპპთან მუშაობისა, საკუთარ შეცდომებთან ბრძოლა და სხვ. პლენუმზე საკუთარი შეცდომების კრიტიკით გამოვიდა ამხ. **მედვედიევი**. კამათში მონაწილეობა მიიღო „კომსომოლსკაია პრავდა"-ს რედაქტორმა ამხ. **ტროიცკიმ**, რომელმაც აღნიშნა რაპპისა და „კომსომოლსკაია პრავდა"-ს შორის დისკუსიის მნიშვნელობა, დადებითი მხარეები და ნაკლოვანებები, მოუწოდა რაპპს კომკავშირთან ერთიანი მუშაობისაკენ.

შემოქმედებითი დისკუსიისა და შემოქმედებითი დაჯგუფებების საკითხზე კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **პანფეროვმა**. გამოსულ ამხანაგებიდან თვითკრიტიკისა და მუშაობის გადაკეთების საკითხებს უმთავრესად შეეხო ამხ. **მაკაროვი, სტავსკი, სელივანოვსკი და სხვ.**

ვოაპპის სახელით პლენუმს მიესალმა ამხ. **ბენ. ბუაჩიძე**, რომელმაც აღნიშნა პლენუმის საკავშირო მნიშვნელობა. პლენუმზე მოსმენილი იქნა ამხ. **აფინოგენოვის** მოხსენება სათეატრო დარგში რაპპის ამოცანების შესახებ.

რაპპის ხელმძღვანელი ორგანო — სამდივნო არჩეულ იქნა შემდეგი შემადგენლობით: **ლ. ავერბახი, პ. პანფეროვი, ვ. კირშონი, ა. ფადეევი, მაკარიოვი.**

რაპპის გენერალურ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **ლ. ავერბახი.**

ვ. ლუარსამიძე

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის გარდაქმნისათვის

საბჭოების ქვეყანა უკვე სოციალიზმის პერიოდში შევიდა. სოციალისტური მეურნეობისა და მუშათა კლასის რიცხვობრივად და თვისობრივად შეუჩერებელი ზრდა უეჭველი ფაქტია. ძირეულად შეიცვალა სოფლის მეურნეობის „გეოგრაფია". და ეკონომიკა. საკითხი „ვინ-ვის" სოციალიზმის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ნუ თუ ძნელი გასაგებია, რომ საზოგადოებრივ ადამიანთა ცხოვრების პირობებთან, მათ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან ერთად იცვლება მათი წარმოდგენა, მათი აზრი და ცნებანი, ერთი სიტყვით მთელი მათი საზოგადოებრივი შეგნება.

შეუჩერებელი ტემპით იზრდება მუშათა კლასის და კოლმეურნეთა მასის კულტურული დონე და მოთხოვნილებანი. მუშათა კლასის ახალ შევსებათა შორის ახალგაზრდობა 22 წლის ასაკამდე 50-75 პროც. შეადგენს. მუშა ახალგაზრდობაა პროლეტარული მხატვრული მწერლობის ძირითადი მასიური მკითხველი. პროლეტარული მწერლობა კი სოციალისტური აღმშენებლობის მიმდინარე ეტაპის მოთხოვნებს საგრძნობლად ჩამორჩა: პროლეტარული მწერლობა მუშათა კლასის ხელში კლასიური ბრძოლისა და სოციალისტური აღმშენებლობის ერთ ერთი უძლიერესი იარაღი უნდა გახდეს.

მეორე ბოლშევიკური ხუთწლედი სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის ამოშენების საფუძველზე შენდება. ამით განისაზღვრება პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის მორიგი საბრძოლო ამოცანები და ასოციაციის მუშაობის დაუყოვნებლივი გარდაქმნის საკითხი; გასაგებია და დროულია ამხ. **კოსარევის** თვითკრიტიკით გამოსვლა რაპპ-ის მუშაობის დაუყოვნებლივი გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ, პროლეტარული მწერლობა უნდა განვითარდეს პარტიულობის ლენინური პრინციპის საფუძველზე.

მართლაც და რა მოხდა? ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას რომ სოციალიზმის მშენებელთ, შრომის გმირებს არ აკმაყოფილებთ არსებული მხატვრული „საკითხავი მასალა", პროლეტარულმა მწერლობამ ჯერ ჯერობით ვერ მოგვცა ჩვენი ეპოქის შემქმნი და წამყვანი სრულყოფილი ტიპი, რომელსაც პროლეტარული მკითხველი, სოციალიზმის მშენებელი „წაბაძავს" და „გაჰყვება"! პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებმა ვერ შესძლეს ჩვენი წინსვლელობის მთავარი პირობის — ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, შემოქმედებითი დისკუსია არაა კონკრეტული და საგნობრივი, ვერ მოხერხდა მწერლობაში გაწვეული დამკვრელი მუშების ლიტერატურული სწავლების ორგანიზაცია, რაპპ-ის ხელმძღვანელობამ პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაციის ლოზუნგს „გადემიანების" ოპორტუნისტული ლოზუნგი დაუპირდაპირა და მთელი რიგი ოპორტუნისტული შეცდომები დაუშვა პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზიდან, რასაც ძირითადში სწორად გაუხრელად ატარებდა და ატარებს. ამის გამო, აუცილებელია გადაისინჯოს თეორიის ფრონტის ლიტერატურულ დარგში ყოველივე გამოთქმული და დაბეჭდილი — ხომ არ გაპარულა მტრული თეორიები ნიღაბაფარებული სახით.

მაგრამ [illegible] როგორც ეს სურთ რევანშისტებს, ლიტერატურულ-პოლიტიკურ თარჯიმნერებს და ლიტერატურულ ფარმაცევტებს. რომ საკითხი დგას ასოციაციათა ხელმძღვანელობის მოხსნის შესახებ. მუშაობის გარდაქმნა და ხელმძღვანელობის გადახალისება ხელმძღვანელობის მოხსნას როდი ნიშნავს. ვოაპპ-ი და მასში შემავალი რესპუბლიკანური ორგანიზაციები ძირითადში სწორად ატარებენ ჩვენი პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზს. უნდა მოხდეს ასოციაციათა მუშაობის სასწრაფო გარდაქმნა პარტიისა და მუშათა კლასის ბელადის — ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების, გაზ. „პრავდა"-ს პარტიული პოზიციის და რაპპ-ის გამგეობის დეკემბრის პლენუმის ბოლშევიკურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე..

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ შეცდომების აღიარება არ ნიშნავს შეცდომათა განმეორებას, გამრავლებას ან გაღრმავებას. ისიც გასაგებია, რომ თუ ასოციაციის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის ახალი ვითარების საფუძველზე ხელმძღვანელობა, „კოზნიცად" გადაიქცევა და თითონ მოვლენების დიალექტიკა გააპირობს ასით ხელმძღვანელობას. უნდა ვიხელმძღვანელოდ არა მხოლოდ წარსულით, არამედ „მუშათა გაზრდილ მოთხოვნილებებით... მხოლოდ დამპალ და საბოლოოდ გამოყიჩებულ ადამიანებს შეუძლიათ დამშვიდენ წარსულზე მითითებით" (სტალინი) და ასრიბოლოო მდგომარეობით. აუცილებელია მუშაობის გარდაქმნა, სტიმული და წინწაწევის პერსპექტივა; მთავარია — მიმდინარე ეტაპის ინტერესების ძირითად რგოლში ორგანიზაციული შემოქმედებითი შეკრა, მოძრაობის მეთაურობა და ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, უნდა გავხდეთ მუშათა კლასის **მებრძოლ** რაზმად ლიტერატურის ფრონტზე, ამაში მდგომარეობს პარტიის ც. ო. „პრავდა"-ს და კომკავშირის რაპპ-ის და ვოაპპ-ის მუშაობაში „ჩარევის" პოლიტიკური შინაარსი და მნიშვნელობა.

რა მდგომარეობაა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციაში? საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია პარტიის დასაყრდენია ლიტერატურის ფრონტზე, რომელიც პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზს ძირითადში სწორად ატარებს. ასოციაციამ პარტიას ეს საქმით დაუმტკიცა და არა საქმოსნობითა და წვრილ-ბურჟუაზიული „რევოლიუციონობის", ფრაზიორობით. ამის მაგალითი ათავალია: მედგარი ბრძოლა მწერლობის ფეოდალურ-ბურჟუაზიულკულაკური სექტორის წინააღმდეგ, ლიტერატურის რეაქციონური მეთოდოლოგების ისტორიკოსების, კრიტიკოსების და „ფილოსოფოსების" გამოაშკარავება და იდეური განიარაღება, ბრძოლა დიდმპყრობელური შოვინიზმის ადგილობრივი ნაციონალიზმის საერთოდ რასიული რომანტიზმის წინააღმდეგ ლიტერატურაში, ბრძოლა ორ ფრონტზე — პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაციისა და ჰეგემონიის მწვერვალების დაპყრობისათვის მოკლე ისტორიულ გადასარბენში. მაგრამ არსებული მნიშვნელოვანი მიღწევებით და მდგომარეობით დაკმაყოფილება ოპორტუნიზმის ერთ-ერთი სახეობა იქნება და მოძრაობისაგან ჩამოწყვეტა. კლასიურ მტრებთან, ორ ფრონტზე ბრძოლის შემდგომი გაძლიერებით და გამახვილებით დავძლევთ ზრდისა და განვითარების სიძნელეთ, სათანადოდ ვიბრძოლებთ პარტიის გენერალური ხაზის **სიწმინდისათვის** მწერლობაში.

ასოციაციის მუშაობის ნაკლად, რაც მოკლე დროში დაძლეულ უნდა იქნას, კვლავ რჩება: ბოლშევიკური თვითკრიტიკის სისუსტე, ბიუროკრატიზმის ელემენტების და გაუპიროვნების ასრებობა, პარტიული ბირთვის სიმცირე, შემოქმედებითი დისკუსია ე. წ. პირველ დაწყებითი დაგროვების სტადიაშია, კონკრეტული კრიტიკის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მწერლის იდეურ-შემოქმედებითი ზრდას, სისუსტე; შემოქმედებითი დაჯგუფებების (პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის ფარგალში) უქონლობა, დამკვრელი მუშების ლიტსწავლების მოუგვარებლობა, ასოციაციის განყოფილებათა მუშაობის სისუსტე, ლიბერალური დამოკიდებულების **შემთხვევები** ბიუროკრატიული „კეთილდღეობის" მომღერლებისა და ლიტერატურული საქმოსნებისადმი, მემარჯვენე გადახრებისა, ნაციონალისტური რეციდივებისა და „მომემარცხენე" ავანტიურული ნახტომებისადმი, და სხვ. ამ ნაკლისა და შეცდომათა დაძლევისა და გამოსწორებისათვის მოწოდებული ერთის მხრივ მუშაობის გარდაქმნა-გადახალისება. ნაკლისა და გადახვევათა დაუძლეველად ვერ შევქმნით ბოლშევიზმის დიად მწერლობას, „ლიტერატურის მაგნიტოსტროებს". მაგრამ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლი და დაშვებული შეცდომები **ობიექტურად** პროლეტლიტერატურული მოძრაობის **ზრდისა**, განვითარებისა და წინსვლის სიძნელეებს წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი სიძნელეები წარმოადგენენ ისეთ სიძნელეთ, **„რომელნიც თითონ შეიცავენ გადალახვის შესაძლებლობას.** ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სიძნელეების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი **თითონ იძლევიან საფუძველს მათი გადალახვისათვის...** ჩვენი სიძნელენი წარმოადგენენ არა წვრილმანი, შემთხვევითი „შეუთანხმებლობის" სიძნელეებს, არამედ კლასიური ბრძოლის სიძნელეებს" (სტალინი).

ამხ. სტალინის მეთოდოლოგიური დებულება ისე არ უნდა იქნას გაგებული თითქოს ჩვენი ნაკლი და შეცდომები „თავისთავად" გადაილახებიან. ეს იქნებოდა თვით დინების სტიქიისადმი თავის მიცემა და ოპორტუნიზმის ჭაობში შეცურება. ჩვენი ნაკლი და შეცდომები შემთხვევითი „შეუთანხმებლობის" სიძნელენი როდია, არამედ კლასიური ბრძოლის სიძნელეებია და ამავე დროს მარქსისტულ-ლენინურ თეორიით ჩვენი საფუძვლიანად შეუიარაღებლობის შედეგი. გადაუდებელია გეგმიანი ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის, მატერიალისტური დიალექტიკის მომარჯვებისათვის ლიტერატურის თეორიაში და კრიტიკაში, ბოლშევიკური შემოქმედებითი მეთოდისათვის, დიალექტიკურ-მატერიალისტური ლიტერატურული სტილისათვის. პროლეტარული მხატვრული პრაქტიკის საფუძველზე, დიალექტიკური მატერიალიზმის ბაზაზე მუშავდება და ყალიბდება ხელოვნების ლენინური მეთოდოლოგია. ბრძოლა ლენინური ეტაპისათვის ლიტერატურის მეთოდოლოგიაში — გამოსავალი პუნქტია.

ლენინური ეტაპი ლიტერატურის მეთოდოლოგიაში და სალიტერატურო კრიტიკაში, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მარქსის, ენგელსის და ლენინის რევოლიუციონური მეთოდის — მატერიალისტური დიალექტიკის კონკრეტიზაციას და შემდგომ განვითარებას ლიტერატურის მეთოდოლოგიაში. მებრძოლი მატერიალისტი-დიალექტიკოსი მწერალი არსებითად გარკვეული უნდა იყოს სტალინის შრომებში. ბოლშევიზმის თეორიული შრომები, ლენინისა და სტალინის შრომები გამსჭვალულია მებრძოლი ბოლშევიკური პარტიულობით. მარქსის სიტყვები: თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როცა მას მასები ეუფლებიან — ყოველთვის სახელმძღვანელო ლოზუნგი იყო ჩვენი პარტიისათვის.

უნდა მოვახდინოთ ასოციაციის წევრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით სრული შეიარაღება, მათი მსოფლმხედველობის მაქსიმალური ბოლშევიკური პოლიტიზაცია. დროა, ავამაღლოთ პროლეტარული მწერლების იდეურ-პოლიტიკური დონე, გავშალოთ ჩვენს რიგებში პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომ **უხეში** შემოქმედებითი და პოლიტიკური შეცდომები აღარ გავიმეოროთ და დავუშვათ. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ორ ფრონტზე: მარქსიზმის მექანისტური რევიზიისა და მოძენშევიკო იდეალიზმის წინააღმდეგ. მოცემულ ეტაპზე მექანიზმი მთავარი საშიშროებაა, როგორც მემარჯვენე ოპორტუნიზმის მეთოდოლოგიური საფუძველი. მარქსიზმის მექანისტური რევიზიის დაძლევა გადამწყვეტ ბრძოლას გულისხმობს და მოითხოვს მოძენშევიკო იდეალიზმთან, ტროცკიზმის მეთოდოლოგიასთან და დამპალ ლიბერალიზმთან.

მართალია, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის თეორიულ-კრიტიკული აქტივი განსაკუთრებით მიმდინარე წელს, ენერგიულად იბრძოდა ლიტერატური მეცნიერების იდეალისტ-მოძენშევიკ მეთოდოლოგების და ლიტერატურის ისტორიკოსების, ადგილობრივი ნაციონალ-დემოკრატიზმისა და მენშევიზმის ნიშნოსა და სხვ. წინააღმდეგ, მაგრამ ამ მეთოდოლოგიურ შეტევაში ადგილი ჰქონდა კაცკელ ჩავარდნებს: მოძენშევიკო იდეალისტურს, პლეხანოვის ფეოდალიზაციურ შეცდომების გადაჭარბებულებსა და [illegible] ელემენტებს, რაც „ბოლშევიზმის ხასიათი ისტორიების ხარჯზე" ტარდებოდა და იყო შემთხვევა, როცა მარქსიზმის [illegible] ფალსიფიკატორის ტრიბუნა [illegible] და „ბოლშევიზმის ასპარეზი" [illegible] პრობლემად გავხადეთ. „რქვეთ [illegible] რომ რედაქციამ ასეთ „ისტორიკოსებს" (მხედველობაშია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ფალსიფიკატორი — სლუცკი — ვ. ლ.) არ უნდა გაუფართოვოს დისკუსიონ ტრიბუნა [illegible] [illegible] ამხ. სტალინის ცნობილი წერილი ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლიუცია"-ს რედაქციისადმი ლენინური დირექტივაა, რაც მოგვცემს თეორიულ-კრიტიკულ და სალიტერატურო მოძრაობაში [illegible] [illegible]

საქართველოს პრ. მწერალთა ასოციაციის ცალკეულ ხელმძღვანელ ამხანაგებს კრიტიკულ-მეთოდოლოგიურ პრაქტიკაში, წლების განმავლობაში, [illegible] შეცდომები [illegible] [illegible]

ამ წერილის ავტორსაც თავის თეორიულ-კრიტიკულ მუშაობაში ჰქონდა სერიოზული შეცდომები, რაც მათ უმკაცრეს კრიტიკას მოითხოვს და დაუყოვნებლივ გამოსწორებას. [illegible] „პროლეტარული მწერლობის"-ს [illegible] [illegible] 1) „გადემიანების" ლოზუნგისათვის [illegible] 2) პროლეტარული ლიტერატურის სტილის [illegible] 3) „ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯის" ლოზუნგთან [illegible] [illegible]

სერიოზული შეცდომები დაუშვა ამხ. ბ. ბუაჩიძემაც თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ პრაქტიკაში. [illegible] [illegible]

ამხ. შ. რადიანს თავის თეორიულ-კრიტიკულ მუშაობაში ჰქონდა სერიოზული შეცდომები [illegible] [illegible]

ამხ. ალ. ხელაძეს [illegible] [illegible]

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ალ. გომიაშვილი

ალაზანი

გომბორის მთები.
მაქარიაგევე მოხუცის მუხლით
სდგას ისევ დინჯად,—
ისევ ცივი, ზვიადი ისევ,
რომ წარიხოცოს
წარსულ დღეთა ჰექა და ქუხილ
—ხმა ზრიალისა!..
გომბორის მთები,
ატეხილი გომბორის მთები
ალაზნის ველზე
წამოხრილი ხარის წარბივით...
შიგ დალეწილი—
წნორებივით არწივის ფრთები
და მთის მიკრული
გამგელებულ ხისლის წადილი.
გომბორის მთები
ოკეცილი დაბლა დარაჯად,
რომ მოეტანა
ალაზნითან „მთებისა ჩრდილი“,
მაგრამ ეს „ჩრდილი“
ახალ ველზე თითქოს არა სჩანს
და ტალღებ—მძიმე
ალაზანიც ხვნეშის და ჩივის...
და დარიალის ხეობიდან
მოვდივარ ახე,
მოვდივარ ველს და—
„მთების ჩრდილსაც“ შევხდები ალბად
მოვდივარ ველად
ანდეზიტის სიმღერით სავსე
და თვალ წინ ველიც
„ჩრდილ“—მაგიერ გადაიბამბა.
—ბამბის ტრამალო,
მთიდან შენთან მოველ და მინდა
შენთან ლექსმა და
შენთან მაჯამ, რომ დაიმღეროს,
რომ გარღვეულ ფრონტს
ამაგრებდენ სწორები მინდვრად,
რომ კაფიებით
დაილეწოს ლერწამის ღერო...
ბამბის ტრამალო,
(მინდორ-მინდორ ალაზნიანო)
დარიალიდან
მთამ მოილო ველებში ქშენა,
რომ შენს მიდამოს
ჩემი ლექსიც შევაზრიალო;
თუ რად,
რად მიყვარს—
ალაზანის ზვირთების დენა!
ბამბის ტრამალო,
ფარტენიან ტრამალო ბამბის,
თითქოს დაიძრა
მთა-რძიანი კახეთის მყარი.—
დასჭრა მიწა და—
ველს გაჰყვირის ხარი-ფოლადის,
დასჭრა მიწა და...
—კოლექტივის ბამბები ჰყვავის!..
2. აი საბჭოთა მამული
გაშენებული რიგადა;
ველია ნისლში მალული
ველს იბრძვის ჩვენი ბრიგადა.
მოდი, მორეკე ჯოგებად
ზევით მზე დნება ოქროდა,
ძირს არხი ალაზნიანობს
—ალაზნის არხო, მოგორალ
ჯაფა გსურს გაიზიარო?—
კეთილი იყოს არხიდან
შენი ზვირთულის დინება,
სადაც დასჭრეს და დაღარეს
მინდორი კომბაინებმა.
მოდი,, მორეკე ჯოგებად
არხო, ველები ზვარისა—
ნეტავი რად გეზოგება
ზვირთები ალაზანისა
და არხში ჩაკირულები
ზვირთი-ზვირთ მოვა ხშირადა,
რომ გადაბმული ხნულების
[illegible] გაიშრიალოს...
ჰოი, საბჭოთა მამულო
გაშენებულო რიგადა
ხისლებში გადამალულო
ველს იბრძვის ჩვენი ბრიგადა.
მოდი, მორეკე ჯოგებად
არხო, ველები ზვარისა—
ნეტავი რად გეზოგება
ზვირთები ალაზანისა.
3. მთავარი არხი
გასწოლია ველებს გველივით
და მისრიალებს,
მისრიალებს ზანტი ზმორებით.
ველია მისი—
ტალღებისგან გადაგელვილი.
გარღვეულ ფრონტებს
ამაგრებენ მინდვრად სწორები!
მინდვრად. სწორები
ტრიალებენ ოფლისა ღვრაში
და ბრიგადირის
მაჯის ცემაც აღარ დუნდება
როცა ალაზნის
ეს ზვირთები არხიდან-არხში
იკარგებიან
ათასეულ ნაკადულებად.
არხიდან-არხში
გადაბამბულ ველების შიგნით
შორი შრიალით
რომ წამოვა ზვირთების დენა
მოსქდება გიჟურ
მდინარეთა თქაფუნის რიგი
და ხმა-ზრიალით
გადაიტანს ხნულებში ქშენას.
მაშინ, ამ მინდვრად,
სადაც ძველი ყამირი - ახო
დალეწია,
დაუფშვნია არხების გრეხილს;
იქ ბამბებში თუ
კოლექტივის ზვარებში ვნახოთ,
ზვარებში ვნახოთ,
თვალგახელილ კახელი გლეხი.
—გლეხო კახელო,
როცა იდგა ხრამდახრამ ღამე,
თუ მოისმოდა
შენი კვნესა ოხვრა—ვიშადა;
დღეს მოდი ერთი
კოლექტივზე ვიმღეროთ რამე—
მისი ბრძოლის და
გამარჯვების აღსანიშნავად!..
დღესაც ბევრია
ჩვენს სოფლებში შესაგინები,—
რომ დასილინებს,
ვით ქვემძრომი და მიწის ჭია.
—და ბამბის ველზე
კოლექტივის კომბაინები
მათთვის ამოსულ
მცენარეებს ძირშივე სჭრიან...
მთავარი არხი
გასწოლია ველებს გველივით
და მისრიალებს, მისრიალებს ზანტი ზმორებით
ველია მისი—
ტალღებისგან გადაგელვილი.
გარღვეულ ფრონტებს—
ამაგრებენ მინდვრად სწორები.
4. სადღაც მთებში ფანდური
კვნესის... გული დარაზა.
ჩონგურით და ბანდულით
თუშში მივლენ ალაზანს.
ჰოი შენ ჩემო ალაზანო
ტალღოვნებიანო.
მოწყენილო განა ზვარო—
ველი ავიწმინდოთ!
შორს ნისლები შეგუბულან
ბამბა დგება თოვლივით.
—კოჭ მოვარდის აქ ბულბულად
მინდორ—ველზე მოვლილი.—
მინდორ—ველზე ნისლებია,
როგორც მთების ხიზანი;
სადაც დარბაისლების
კავკასიის მწრისანი...
გაფრენილი ლურჯა ცხენის
ველს შოლტავდა ფაფარი...
დღეს კი: არხო, შენზე ვმღერ...
შენი ზვირთის ჩქაფანით.
ალაზანო, დღე—მზიანი
უნდა შევსვათ ტიალო,
ეს მინდორი, რომ ზრიალით
მზისკენ შევატრიალოთ.
ხმა მომეც და გული ჩემი
ალაზანო, გემონოს,
რომ არხები და ჩანჩქერი
ლექსში დაიდიმონო.
...ეხლა, თითქოს გადირეკა
ნოემბერმა დარები.
მთა—გორებშიც აღარ რეკავს
მძაფრი ნიაგარები.
ველზე ბამბის ზვინი დადგეს,
ქარი ზუის დეკემბრის...
—უკანასკნელ მინდორს გავლენ
ბრიგადირი ლეკები.
5. და დათოვლილი—
ალაზანი შრიალებს, როგორც
შემოდგომისას
ზვინ-დაშლილი შრიალებს ჩალა.
ზუის ქარ ყინვა—
(რა გადაივლი თოვლიან გომბორს),
სადაც ტიტველი—
მარტოოდენ ველები სჩანან.
ზუის ქარ-ყინვა
და ნამქერის ქშენას შეჰფიცე.
ველო,
თუ თოვლი
ფარტენ-ფარტენ ჩამოდის დაბლა,—
როა სიმღერებით
აკიელებულ ქალაქებისკენ
დაიძრა—
წითელ ქარავნებით
საბჭოთა ბამბა.
დაიძრა ბამბა ველებიდან.
და ეს ზამთარი—
მოვიდა,
როგორც პირგამეხილი
მოხუცი მკაცრი.
ქარმა დაჰკიდა
ალაზანზე ყინულის თარი
და აკვნესებულ
აშუღივით მინდორში დაძრწის...
კვნესის მინდორი,
სადაც მხოლოდ ნამქერის შრიალს
თუ შეატოკებს
შავ-კოშკების მძაფრი ღრიალი—
მეძროხეების
გადათიბულ ლელიან შირაქს
ალაზანივით
რომ ედება ნიაღვრიანი
ნავთი და ნავთი—
საბჭოეთის მიწის ბარაქა!
წინსვლამ მოდრიკოს
ეს ამინდიც ველად დამდგარი.
და მაღალ მთებში
მყინვარების რისხვის მარაგად
—გავა ზამთარი!
გავა ზამთარი
ყინულოვან ჩოხჩხების თვლაში,
ვით ნამქერიდან
სუსხიანი დღეების დენა.
გავა ზამთარი
და გაზაფხულს შევძახო მაშინ
გამარჯვებული
ველ—მინდორის შრომის სიმღერა:
—ყინული ლღვება!
ალაზანო, იდიდე, ბარემ
რომ არხიდან ხარ
კახელ გლეხის შრომის ზიარი.—
რომ ველზე გაკრულ
გაზაფხულის სიცხეს და დარებს
შეხვდებით ისევ—
[illegible]

ბეს. ჟღენტი

ხუთწლედის გმირი ლიტერატურაში*)

მხატვრული შემოქმედების ძირითადი განსაზღვრული თაქტორი-ავტორის მსოფლმხედველობაა - აქედან გამომდინარე იდეური მიმართულება, სოციალიური ფუნქცია განაპირებს ნაწარმოების როგორც მასალობრივ ელემენტს, აგრეთვე მის სტრუქტურულ თავისებურებასაც მაგრამ თავის მხრივ თემატიური მასალაც არ წარმოადგენს პასიურ კატეგორიას. იგი განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს მხატვრული ფაქტის [...]

[...] ლია მასალის ორგანიზაციის თავისებურობა, ნაწარმოების კონსტრუქციის ხერხობრივი მომენტი, რათა გმირის ჩვენებაში დაძლეულ იქნას მოსალოდნელი ერთფეროვნება და მონტონობა, რათა სახელის თიდების და გმირობის საქმედ გამხდარი შრომის დამკვრელი ენტუზიასტი ნაჩვენები იქნას მეტის სიცხოველით, ინტენსიურობით, მიბაძვისა და ენტუზიაზმის გამომწვევი სიძლიერით. ახალი ადამიანი ხდება [...]

ემპირიზმისა და ფაქტოგრაფიის საფრთხესთან ერთად აქ იბადება „ცოცხალი ადამიანის“, „გარმონიული ადამიანი“-ს და მსგავსი იდეალისტურ თეორიების გამოცოცხლების საფრთხეც. სცდებიან ამხანაგები, რომლებიც სცდილობენ ამ თეორიებს ისტორიული გამართლება მოუნახონ. მათი ისტორიულად ახსნა რა თქმა უნდა შესაძლებელია, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშ- [...]

როგორც ყოველგვარ მასალას, გმირს, პერსპექტივას მწერლობა მიუდგება კლასობრივ—პარტიულ ტენდენციით. „ფოტოგრაფიული ობიექტივიზმი“. აქ ყველაზე მეტად შიღებულია. მასალის დეფორმაცია გარკვეული სოციალური ფუნქციის, იდეური [...]

[...] ლოთ პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობას და მთელ საბჭოთა მწერლობას.

მედგრად ვიბრძოლოთ პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაციისათვის ბოლშევიზმის დიადი მწერლობისათვის.

პარტია და მუშათა კლასი ჩვენგან „ლიტერატურის მაგნიტოსტროებს“ მოითხოვს.

...ქოვანი

...ოიგნიდან „გმირი და წინ“

...ონ გუშინ წინ და წინათ კიდევ
...რებს ვხერხავდი, მჴრელი ბირდაბირ,
მე შეცდომები ხარდალათ მზრდიდენ
და პოეზიას შევეტაკე
შევხვდი პირდაპირ.
მაშინ ყრმობისას, გავკრავდი კვესს და
ვწვდოდი მკლავსაც გამვლელ მარჩიელს;
მჯუხრში ხომ სული ვარსვლავზე კვნესდა,
მეც დავეძებდი და ჯანყი ვარჩიე.
არც ხქელ საჯდომით, არც თამადობით
არ მიმიღია მგოსნობა მყისვე;
ხორკლიან სიტყვით, ჭიდილით, ომით
დავეცი ბევრჯერ და ავდექ ისევ.
ოქროს ფეხი და კუზოსგან კოცნა
პარტერს არ უთხარ, ვიყავი ჩლუნგი
ადგა პარტერი სკამით და ცოცხით
მესროლა ბავშს და
მიჩვენა ზურგი.
ვყვიროდი ბავში, ბგერა უგონო
არხევდა ქვემოთ, დაშვებულ ყურებს;
შევძულდი ბევრს და საუკუნოთ
ბევრის ქუხილი დავიმსახურე.
და მეამბოხეს შემხედეს ზიზღით
მითხრეს გადხველ საზღვარს ლექსისას;
ზინძური აზრით, უჯიშო სისხლით
ჩვენგან მტვერი და ფურთხი გელირსოს.
მე-კი ფუტურიზმს გავყევ სატრფოთი;
მოხუც აზრებით შევქენ სკანდალი,
ბრძოლის ველისკენ ბევრი გავრბოდით
და ბრძოლას შევრჩი, მხოლოდ სარდალი.
ვზდიე შეცდომით უსულო კამათს
სიტყვებს ისხდენ როგორც მონები,
ამლეტიც სდევდა ამგვარად მამას
და ტრაგედია შექმნა გონების.
ეს იყო გუშინ, და წინეთ კიდევ
აზრებს ვხედავდი, მჴრელი ბირდაბირ
მე შეცდომები კუზივით ვზიდე
შემდეგ შეცდომებს შევეტაკე,
შევხვდი პირდაპირ.
შენ იყავ უკვე მკვდარი სარდალი
და მეომარი არ გყავდა ერთიც;
და პოეზიის ცეცხლის შანდალი
აანთე, დადექ სისხლიან მკერდით.
შეცდომაც მოკვდა და აზრი გზის
ეძებდი ხახსარს შემდგულებს დროსთან,
ჩადგა პარტერში ტაშის შრიალი
შეხვედი, მოსპე კარებთან მოცდა,
მზე ამოსული დასავალს ჩადის
ბალღი შეცდომაც ჩამჯდარა სადლაც;
მოგვცეს პური და წაგართვეს ჭადი
და პურთან გული ცეცხლივით ალხდგა.
სხვაგან შექმნილი მოხველ პოეტი
უკვე მუხლში გრძნობ დროების სახსარს;
კოლუმბიც ზღვაში სდევდა ინდოეთს
და გემის ლტოლვამ სხვა მხარე გახსნა.
გავარდა სიტყვა, დაეცა ლითონს
ძირს დაენარცხა ითვარე და მზე
შეხედავ, ნახავთ ხალხს უკან თვითონ
ძველი „მე“ სდგას და
დარცხვენით გიმზერს:
ეს სულ ერთია, გაგზავნეს თუ
თვითონ მიხვედი ბავში აღმზრდელთან.
მგოსანს დღეს შექმნილს და ხმა გამართულს
მოგცეს სიტყვა და ბრძოლა გაგრძელდა;
ხელ ჩართულ ომში, მგოსანი იშვი
სულშიც ფარავდი გახსნილ იარას;
შემდეგ გადახველ, მოშორდი შიშილს
აზრებისას და მიწვდი იარაღს.
და მაიაკოვსკი დიდი სარდალი
რევოლიუციის შვილი ომამდეც;
ხვექდა ამგვარ აზრს
იყო მართალი.
ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე.
აზრთა ჭიდილში გმირიც მოვიდა
გენიის შუბლზე დასდვა ტკაველი
მესმა მისი ხმა მგოსანს შორიდან
ვიგრძენ ძალა და შვების ტკივილი.
გავხედე თითებს, მელანში დასვრილს;
შერცხვა თითებსაც თავის დოვლათის;
გმირს შიგნით სჩანდა მებრძოლი კლასი
და კლასში სჩანდა გმირი ფოლადის.
ჟამს ჭიდილისას მოვიდა იგი
დაზგასთან, მინდვრად, მთებში და ხულთან
ჩადგა ცხოვრების თვალების შიგნით;
აზრივით მჴრელი, გულივით სუფთა.
ეს მოხდა დღეს და არა გვიან
სიტყვას ვთლიდი მჴრელი ბირდაბირ,
გმირებიც, კლასიც საწევროდ მზრდიან,
შეც პოეზიას შევეტაკე,
შევხვდი პირდაპირ.
მიხველ გმირთან და აღმზრდელ უამბე
ცოდვები შენი ნაწონი სისხლით
შენ ბგერას მაგარს. ლექსის ეუაუნტელს
ის გაიგებს და ცოდვისგან გიხსნის
ეგ სულ ერთია გამოვლილ გზირს
გმირი გეტყვის თუ შენ ეტყვი ივავს;
პოეზიიდან ეშვები ძირს
განვიარაღდი შეცდომებისგან.
მომეცი ხელი, გავსწიოთ ძმურად
გულს გული იცნობს და გმირს მშობელი
შენ ცხოვრებას ჰქმნი; მე შენზე სურათს
ვსწიოთ ჰაპანი დაუცხრომელი.
შენ დაბადე, მოვლე ველები
და ორთქლმავლების მოგკივის რაზმი.
ჩვენ ცას გაეკრენ ვით ფრინველები
აღტაცება და ენტუზიაზმი.
დაეჯახება ლექსი ფოლადს და
გაუსრიალებს ლითონის მდელოს
თუ სიტყვა გატყდა, ლექსიც დამარცხდა
ფოლადი მაინც გაიტანს ლელოს.
შენ კლდეებს აპობ, კლდე ითენთება
გააპე ტალღა გზა განვლეთ ეკლით;
სად დაგვიღამდეს, იქ გაგვითენდეს
დროს აუშენოთ შეუთაოე ძეგლი.
მომეცი ხელი, გავსწიოთ ძმურად;
გულს გული იცნობს და გმირს მჴრალი.
შენ ცხოვრებას ჰქმნი მე შენზე სურათს
დავჭკრათ, გავფრინდეთ რკინის მერანით,
და მაიაკოვსკიც დიდი სარდალი
რევოლიუციის შვილი ომამდეც
ქუხდა ამ გვარ ხმით
იყო მართალი
ჰორიზონტიდან ხელგაშლილი
ჰორიზონტამდე.

კ ... ნ. ლორთქიფანიძე

დათვური სამსახური

ჟურნალ „კულტურული მშენებლობა“-ში პოეტმა ფრიდონ ნაროუშვილმა გამოაქვეყნა თეზისები „პროლეტარული პოეზიის გენერალური გზისათვის“.

პროლეტ-პოეზიის გენერალური გზის გარკვევა მთავარი და გადამწყვეტი ამოცანაა დღეს ჩვენთვის, მაგრამ სამწუხაროდ კეთილ სურვილებით აღტკინებულმა ამხ. ნაროუშვილმა თავის თეზისებით დათვური სამსახური გაუწია პროლეტარულ პოეზიას.

ამ წერილში მე არ შეუდგები თეზისების იმ ნაწილის განხილვას, სადაც ამხ. ნაროუშვილი პროლეტარულ პოეზიის განვლილ პერიოდებს აფასებს. ნაროუშვილი ისეთ „ორიგინალურ“ თეზისებს ქმნის, რომ მათი თვითეულად გარჩევა და შეფასება შეუძლებელია საგაზეთო წერილში;მაშინ დაგვჭირდებოდა ყოველ ნაბიჯზე გვემტკიცებინა ამხ ნაროუშვილისათვის ასეთი ნათელი და უდაო ჭეშმარიტება, „რომ „მომავლის“ თაობის პოეტებს ობივატელური აუდიტორია არ უკარნახებდა თვალსაზრისს, რომ ობივატელური აუდიტორია, შეპყრობილი ფუქსავატური ეძოციონალიზმით არ ზღუდავდა „მომავლის“ თაობის პროლეტარულ იდეოლოგიას“.

„მომავლის“ თაობის პოეტებს ჰქონდათ იდეოლოგიური ჩავარდნები, მაგრამ ისინი რომ სავსებით ობივატელური აუდიტორიის იდეოლოგიით ყოფილიყვნენ შეზღუდული, ახლა ობივატელების პოეტები იქნებოდენ და არა პროლეტარიატის.

ჩვენ კი ვიცით, რომ „მომავლის“ პოეტებმა უდიდესი როლი ითამაშა პროლეტარული ლიტერატურის განვითარების საქმეში. „მომავლის“ თაობის ისტორიული მნიშვნელობის ასეთი შეფასება უპასუხისმგებლობაა და პოლიტიკური უვიცობა.

ან და როგორ ედავო მის ასეთ დებულებას.

„გერმანიის პროლეტ - პოეზიას დღევანდელ პირობებში არ შეუძლია ფორმის საკითხის აქტიურად წამოყენება, ეს იქნებოდა ფორმალიზმით გატაცება და ღალატი საკუთარ კლასის ინტერესებისადმი. თუ ბეხერის პოეზიას ფორმალური სიღარიბე ახასიათებს არა იმიტომ, რომ არ შეუძლია ფორმალური „სრულყოფა“, არამედ დაჭიმული კლასობრივი მდგომარეობა ბეხერს უკარნახებს მიივიწყოს ფორმის საკითხი“.

ამხ. ნაროუშვილს, რომ მეორეჯერ გადაეკითხა თავის ნაწერი ალბათ შენიშნავდა იმ წინააღმდეგობას, რომელშიაც ის ვარდება. მიხვდებოდა რომ „დაჭიმულმა კლასობრივმა მდგომარეობამ“ არ შეუძლია უკარნახოს ფორმის საკითხის მივიწყება იმ პოეტს, რომელსაც შეუძლია ფორმალური სრულყოფა, მით უმეტეს როცა ლექსის მხატვრული ხარისხის ამაღლება მის პოლიტიკურ ფუნქციონალობის გამახვილებას ნიშნავს. პოეტი მაშინ ღალატობს თავის კლასის ინტერესებს, როცა მას შეუძლია ფორმალური სრულყოფა და ივიწყებს ფორმის საკითხს.

ძალიან და მთავარი. ვინ მოახსენა ამხ. ნაროუშვილს რომ ბეხერს, გიდაშს, დასავლეთის სხვა გამოჩენილ პროლეტარულ მწერლებს ფორმალური სიღარიბე ახასიათებთ. დაჭიმული კლასობრივი მდგომარეობა ბეხერს და გიდაშს უკარნახებს არა ფორმის საკითხის მივიწყებას, არამედ მთელი მხატვრულობის ... გადატანას პოლიტიკურ-აგიტაციურ პოეზიის ჟანრზე. ... ეს ბეხერი და გიდაში პოლიტიკური პოეზიის საუკეთესო ოსტატებად ითვლებიან. ზოგიერთი მათი ნაწარმოები, პოლიტიკურ და მხატვრული სიძლიერით არ ჩამოუვარდება პოლიტიკურ-აგიტაციურ პოეზიის მეწინავე ოსტატების—მაიაკოვსკის და დემიან ბედნის ლექსებს.

ამხ. ნაროუშვილი მექანისტურად ანცალკევებს ეოთმანეთისაგან ფორმას და შინაარსს. მაგრამ ეს ცოტაა. უფრო დიდ შეუცდომებს ნაროუშვილი ქვევით უშვებს, „რეკონსტრუქციის პერიოდამდე ჩვენ არ შეგვეძლო ფორმის საკითხი აქტიურად დაგვეყენებინა, ვინაიდან ჩვენთვის მთავარი იყო და არის იდეოლოგიური სიმაღლეების დაპყრობა. ახლა კი რეკონსტრუქციის პერიოდში პროლეტპოეტს აუცილებლად მოეთხოვება იდეოლოგიურ-ფორმალური სრულყოფა“—ო, ხეპოთ ჩვენ მოვისმინეთ ნაროუშვილის დებულება—რომ დაჭიმული კლასობრივი მდგომარეობის დროს პოეტი ივიწყებს ფორმის საკითხს.

ამ დებულებას რომ ლოგიური დასკვნა გაუკეთოთ მაშინ საბჭოთა კავშირის პოეტებმაც უნდა მიივიწყონ დღევანდელ ეტაპზე ფორმის საკითხი, ვინაიდან ჩვენი დღევანდელი ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ეტაპი, კაპიტალიზმის ნარჩენებთან გადამწყვეტი შეტევის და სოციალიზმის საძირკვლის დამთავრების წელი, ქალაქის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი—კლასიური ბრძოლის გამწვავებით ხასიათდება. ნაროუშვილის აზრებს რომ თანამიმდევრათ გავყვეთ, ასეთ ხეპრულ დასკვნამდე მივყავართ თითქო რეკონსტრუქციის პერიოდში პროლეტარულ პოეტს იმიტომ მოეთხოვება ფორმალური სრულყოფა, რომ კლასობრივი ბრძოლა შენელებულია. ნაროუშვილის ფორმის და შინაარსის ურთიერთ დამოკიდებულების მარქსისტული გაგება რომ ქონდეს, თავს დაახწევდა ასეთ საშინელ წინააღმდეგობას.

ნაროუშვილის აზრით პროლეტარულმა პოეტებმა უკვე დაიპყრეს იდეოლოგიური სიმაღლეები და ახლა საჭიროა მხოლოდ კარგი რითმების, სახეების და მეტაფორების შექმნა, რომ გეგემონია კალთაში ჩაგვიგორდეს.

რეფლექსოლოგიის ავტორი, ნაროუშვილი არც ახლა ღალატობს თავის მეთოდს და პროლეტარული პოეზიის დღევანდელ მდგომარეობის შესწავლის ნაცვლად, რეფლექსებით აზროვნებს. მისი აზროვნების დონეზე ზოგიერთი ჩვენი „გამოჩენილი“ პოეტიც დგას და ხშირად გაიგონებთ ასეთ ლაყბობას.

„ჩვენ მარქსიზმი კრიტიკოსებზე ნაკლებათ არ გვესმის (სხვათა შორის ეს არც ისე დიდი საქმეა, რადგან ჩვენი კრიტიკოსები ხშირად კოჭლობენ მარქსისტულ მეცნიერებაში) იდეოლოგიურად გამობრძმედილი ვართ, ცოტა ლექსის ფორმა გვაკლია, დღეს თუ ხვალ ამასაც დავძლევთ და“... ხვალ ჩვენი ეპოქის პუშკინებად გამოცხადდებას მოითხოვენ.

ცდებით ამხანაგებო, დღეს პოეზია ყველაზე მეტად ჩამორჩება რეკონსტრუქციის მოთხოვნილებებს და ჩამორჩება სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით სათანადოთ ვერ დავიპყარით იდეოლოგიური სიმაღლეები, ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ფორმალურ სისუსტეში, არა-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

უპასუხისმგებლობის იშვიათი ნიმუში

წინასწარი შეთანხმებით, 17 დეკემბერს მწერალთა კლუბში ამხ. შ. დუდუჩავას უნდა წაეკითხა მოხსენება „სარმა“-ს გამოფენის შესახებ, მაგრამ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო, მომხსენებელი არ გამოცხადდა, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის რომ, ამხ. დუდუჩავამ საჭიროთაც არ არ სცნო გაეფრთხილებია მაინც კლუბის გამგეობა, შეკრებილმა საზოგადოებამ ტყუილ უბრალოდ დაკარგა 2 საათი მოხსენების წაკითხვის მოლოდინში.

მწერალთა კლუბის გამგეობას ამხ. შ. დუდუჩავას მოქმედება მიაჩნია ყოვლად დაუშვებლად და უპასუხისმგებლობის იშვიათ ნიმუშად.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი დაუდევრობის გამო არ შედგა 21 ... ... ამხ. დუდუჩავას მეორე მოხსენებაც

მწერალთა კლუბის გამგეობა.

„ლოკაფი“

წითელი არმიის სახლში შესდგა ა. კ. წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების („ლოკაფის“) კრება. კრებაზე ჟურ. „ლოკაფის“ შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკავშირო ლოკაფის წარმომადგენელი ამხ. კარცოვი. ის შეეხო აღნიშნულ ჟურნალის მიზანს და აღნიშნა, რომ ჟურნალი ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი იმ ამოცანების მიხედვით რომელთაც ჟურ. „ლოკაფს“ უყენებს წითელი არმია დღევანდელ პირობებში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მწერლები და წარმომადგენლებმა წითელი არმიის ნაწილებიდან: გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ ... ... ბრივი ლოკაფის ორგანიზაციის მუშაობის ხისუსტეს.

გარღვევების წინააღმდეგ

განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორში 15 დეკემბერს შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წლის საწ-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის სამხატვრო მოსამსახურეობის გაწევის საკითხი.

თათბირმა დაადგინა: შედგენილ იქნას ბრიგადები მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების და მსახიობთა მონაწილეობით, რომლებიც ... იქნებიან გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილ ფაბრიკა-ქარხნებზე.

ბრიგადების მიზანია სამხატვრო საშუალებებით ბრძოლა გარღვევის წინააღმდეგ.

... ... აღნიშნულ ბრიგადებში სამუშაოდ გამოყო 15 მწერალი.

ილო მოსაშვილი

კოფა ჩოხელი

შესავალი

ალაზნის დილა

ეს იყო:
913 წელი.
ვაქირი, მასი, დილა მზიანი.
კავკასიონის მაღალი ყელი
იყო
თოვლივით თეთრი, რძიანი.
ათქვირებულ და სავსე ცურებით
ეზოში ორი ძროხა ბღაოდა
და დედაჩემი ხელში სურებით,
წყალზე მიმავალ რძალთან დაობდა.
მე
აღარა ვიყავ პატარა ბავში.
მედგა პირველი
ჯეჯილი წვერის
და ალუბლებით
დათოვილ ბაღში
სატრფოსთან
ლექსად ვქარგავდი წერილს.
მაგრამ, წერტილი!
წარსულის ბინდმა
ლამის წაართვას სიტყვას ლაგამი,
მე
ამ პოემის მიჯნიდან მინდა
გავხდე:
ეპოქის პოეტთაგანი.
თითქო ცა ცეცხლით დახია მეხმა,
ისე ამდგარან ფეხზე ქოხები
და თუ ზარივით არ დაჰკრა ეხლა,
როსთვისღა მინდა ლექსი ოხერი!..

მგზავრი მთებიდან

ჰო, ...
ისევ რძ... ...
ლექსის სტრიქონზე
მოთრთოდა მაჯა.
უეცრად
დადგა ცხენის თქრიალი
და შემოვარდა ეზოში
ვაჟა.
—ბიჭო, სადახარ!—დაჰკრა ეზოზე,
პირძაღლო, ამ დროს როგორა გძინავს!—
შემოეკვალითა
ჩოხა თეძოზე
და ფეხით ლეწდა
ეზნეგოს რკინას.
წინ შევეგებე,
გაშალა მხარი,
ხელი სწორსავით გამომიწოდა.
ფშავის მთებიდან
მყვირალი ხარი:
რას ჩამოვედი არვინ იცოდა...

ვაჟას დედაჩემთან გასაუბრება

ვაჟა

—დაო,
გაძაღლდა ცხოვრება მთაში.
გამწირდა მიწა,
მიდგა ნადირი.
ლამის ზურგებით გვიხდება გზაში
ვზიდოთ თექალთი და უნაგირი.
გვანგრევს ლოდები
მთებს მოგლეჯილი,
ჯაჯრობს არაგვი,
ჯაჯრობს ლაშარი...
და ჩარგლის ქედზე
ქერის ჯეჯილი
დგას როგორც ქოხას
ნაულვაშარი.
შირაქს მივდივარ,
მიწასა ვდაობ.
ბარშიც მომრავლდეს
ჯიში ფშაური.
იქ ყამირები
ერბოა დაო
და ცა დასხმული
თურაშაული!

დედაჩემი

—ბიჭო,
ძნელია გაძლება ბარში.
არ ისმის ჩქამი
ჯიხვების რქისა.
...ი შვილდივით
...ამხარა მხარში
...ომ ვერ დაჰლიე
...ერი მთისა.

...ჟა

...ა რას ამბობ!
მწია მიგნებას
მაში
ცამარე დღესა ნატრობენ.
ვაჟას ბიჭობა
რაღა იქნება
თუ ჩემს მოძმეებს ვერ უპატრონე!
ხარხი შეწუხდა,
ან რა ვქნათ მაშინ
გოდობიჭებს რომ პური გვიშიან!..
მე კი
დავრჩები ისევ ჩემს მთაში
ბარზე რას გავცვლი
კლდეებს ქვიშიანს!..

—:—

სუქრა გაშალეს...
ქვეით და ქვევით
ღვინომ შეღება აზარფეშები
და ბევრს ყანწები
შეებნენ რქებით
როგორც დაჭრილი ტახის ეშვები.
ადრე დაღამდა...
ვაჟამ დედაჩემს
თვალით ანიშნა ლაგამ-ავშარა.
ბევრი ვაფიცეთ—ხატებს, ზედაშეს,
მაგრამ
არ დადგა,
სუფრა აშალა...
ერთი დასცალა კიდევ ფიალა,
უნაგირს
მოჰკრა ტორივით ხელი,
არწივს თვალი შეატრიალა
და
შავს ქამეში შეაგდო ცხენი...

თავი პირველი

სათავეები

მას შემდეგ თითქმის ოცი წელია,
მრავალი მეხი ზიდეს ქედებმა.
შირაქს, ზღვასავით გაშლილ ველიანს
ეხლ სხვა ბრძოლის ცეცხლი ედება,
რკინის ლვედებმა
სხვა გზით წარმართეს
გლეხური შრომის
შემოქმედება.
აქ დღეს ბინადრობს
მოდგმა მთიელთა:
ფშავი,
მთიული,
მოხევე,
თუში.
მიწამ სხვა მიწა შემოიერთა,
მიწას
სხვა ცეცხლი გაუჩნდა გულში.
ეხლა ამაყი შუბლით რომ გვიმზერს
ზვინი
და ხვავი
შემოდგომური,
აქ:
მივიწყებულ ალაზნის პირზე
იდგა ათამდე ძველი გომური.
ამ გომურებში
სწვიმდა და სთოვდა,
როცა მწყემსები დასახლდენ ბარში.
ამ გომურებში ძუძუსა სწოვდა
ატირებული ფშაველი ბავში;
ქარში
ისმოდა დედის ძახილი
ბალღი რომ ღამე
კვდებოდა კარში...
მაგრამ
მაგარი იყო მუხლები.
მაგარი იყო:
მაჯა და
მკლავი.
მიწა ყამირი და ხელუხლები
ღადრეს ძველებურ
თოხით
და კავით.
ყამირს ეყარა დოვლათი უხვი.
ჰქონდა გადავლილ წელთა მარაგი:
თითო ნაბიჯი
და თითო მუხლი
იყო ერბო და იყო კარაქი.
მიწა ოფლით და ცრემლებით
დალბა,
ქოხს მიჰყვნენ გვერდში ისევ ქოხები.
მთიდან ზვავივით
დაიძრა დაბლა
ხალხი ღარიბი და მარტოხელი.
ამ ზვავს ვამოჰყვა
ნაგლეჯი მთისა:
ჩემი პოემის გმირი ჩოხელი.

ორი ბანაკი

მაგრამ არ არის
მიწა ულევი,
გამოეცალა ყამირს ბარაქა,
ზოგმა
მიაწყო ხნულზე - ხნულები,
ზოგმა
ძლივს ლუკმა მოიმარაგა.
შრომა გაძნელდა.
გაჩაღდა შუღლი,
მგელმა აგლიჯა რკინის საბამი.
თითო ნაბიჯი
და თითო მუხლი
გახდა სისხლის და ბრძოლის ხაგანი.
ვერვინ უშველა სოფლის ღარებს,
გაჩნდა
ძალდაძალ მიწის ტაცება
და ღარიბ გლეხზე გადაიარეს
„სამართლისა“ და
ფულის კაცებმა.
მდიდარს მდიდარი
მიუდგა მხარში,
მიუდგა:
მიწა,
ხარი,
საზნისი.
ღარიბ გლეხს დარჩა მთაშიც და ბარშიც:
მღვდელი.
ჩარჩი
და მამასახლისი...
შუაზე გაყო სოფელი ბრძოლამ,
როგორც მგლები და
როგორც ნახირი...
შემდეგ
ქვეყანას მოედო ძრწოლა
და საომარი დადგა ძახილი.
შორეულ ველებს, უცნობ ალაგებს,
მისწვდა სისხლის და ნგრევის ქარიხი
და წაეკიდა სოფლებს, ქალაქებს:
ცეცხლი მსოფლიოთ სახაკლაოსი.

პირველი ჯავრი.

კოფა ცხვარშია.
უვლის თრიალეთს.
ებრძვის ავდარს და
ებრძვის ნადირებს.
ელვა და მეხი
თავს დასტრიალებს
ჯერ გამოუცდელ
მოჯამაგირეს.
ზურგზე ჰკიდია
გამხმარი გუდა
და მხრებს უმძიმებს
თექა თუშური.
სტანჯავს ცხოვრება
ძაღლური მუდამ,
მუდამ მრისხანე
და მოღუშული.
დადის და დარდობს,
აწუხებს ოფლი:
—დოვლათი პატრონს,
სიმშილი კოფას!
თუ ეს ყოფილა კანონი
სოფლის,
ფუ, ასეთ კანონს.
და ასეთ ყოფას.
პირველი ჯავრი ჩაუჯდა გულში
და არ მოუშვა როგორც მკბენარი.
მწყემსის ცხოვრება—ერთფერი გუშინ,
გახდა ერთბაშად მოუსვენარი.

სალამურზე

—ტიალო,
მთაო ფრიალო,
ესე როდემდი ვიარო!
ტიალო მწყემსის ცხოვრებავ,
შირაქის ველო ტრიალო;
ქარქაშში ჟანგი ჩამდგარა,
როდისღა ლავატრიალო!—
ღამის წუხილმა ზეზე დააღონა,
ღადის კოფა და ლერწამს ატირებს.
ამოსწევს ხანჯალს და მკერდს დაანდობს,
რითესაც დარდი გაინაპირებს...

17 წელი

შესრულდა ყავლი,
გადალახა ნაპირი ბოღმამ,
დაიწვა მოვენა,
აიგლიჯა ჯავრმა ავშარა
და გადარეულ ჩიკვდილის და სიმშილის
დოღმა,
მილიონები
აფეთქებულ რისხვით აშალა.
რევოლიუცია:
როგორც ლომი ველად გაჭრილი,
შრომით და ტანჯვით
გალეწილი რკინის ზურგებით
მიადგა ტახტებს,
სასახლეებს,
ჯავარ აყრილი:
ბარიკადებით, მიტინგებით
და
ლოზუნგებით.

ილო მოსაშვილი

მიწა შეირყა
დევთან ბრძოლით მხარმოტეხილი,
საცაა ტახტი დროშების ქვეშ
უნდა დაეცეს...
დარბის კერენსკი
აბდაუბდის მჩატე ვექილი
და მილიონთა დაურვების
წამალს დაეძებს.
თარეშობს სიტყვა:
ცბიერების ბასრი მახვილი.
პოლიტიკოსებს
გაუმართავთ ჭრძელი თოფრზა...
„ომი ბოლომდე“!..—
ბანოვანთა ისმის ძახილი,
სმენა წაიღო
ისტერიამ პატრიოტულმა...
მაგრამ, არ იქნა,
დასაშმლელად არ დგება ლომი,
ქუჩა აეშვა,
ქუჩა ადგა,
ქუჩამ იშარა.
ფრონტზე გაისმა:
„სახლებისკენ“!.
„ომი გათავდა“!
და თხრილებიდან ნაცრისფერი ზღვა
აიშალა...
ცეცხლმოდებული
შემოევლო ტრამალებს ნისლი,
ამდგარი მასსა
ძველ პრილოჰებს ვეღარ იამებს.
ამდენმა ტანჯამ
აადუღა ძარღვებში სისხლი,
სისხლი მოსწყურდათ.
სისხლი არჩობთ ადამიანებს.
რევოლიუცია
დაგუბებულ ჟინს ვეღარ იტევს.
მოდის მრისხანე
მარკინალი,
იწვდის იარაღს...
ლენინი
რკინის კოგორტებით მიადგა პიტერს
და როგორც მეხმა
ხმამ ქუხილით გადაიარა:
„მიწა ... ...“!
„... ...“! და
„... ...“!—
აგლიჯა ჯავრ...
ლრუბლივით ... რომ იწვა.
მოედო მაღალ სასახლეებს
ოქტომბრის ზარი,
დაიძრა ზვავი
და ზრიალით წაიღო მიწა.

[illegible]

...ლელე იქნებოდა იმის თქმა, რომ დღეს ჩვენთვის ახალი ყოფაცხოვრების და ოჯახის შექმნის საკითხები მოკლებულია ყოველგვარ აქტუალობას.

დღეს პროლეტარულ პოეტს არ ექნება ამგვარი ინტერესი „სიყვარულის“ და ოჯა- [illegible]

...ჩვენი ლექსების და მოთხრობების უმრავლესობა სწორედ ამიტომაა მოკლებული მხატვრულ დამაჯერებლობას, რომ ასე სქემატიურად ასახავენ საბჭოთა სოფლის [illegible] ლომა, სოციალურ, ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, რამდენია იყოთ [illegible]

...პერიოდულ გამოცემებში წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა, დისკუსია. უნდა გამოქვეყნდეს თათბირზე დასმულ მოხსენებების თეზისები, რომ ამხანაგებს მომზადების შესაძლებლობა ექნეს და თათბირი ჩატარდეს საქმიანად.

ქართულ ენის შესა[ხებ]

11 დეკემბერს, მწერალთა სასახლეში, სალიტერატურო წრის სხდომაზე მიხ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქართული ენა“.

ქართული ენის საკითხი აქტუალური საკითხია და მოხსენებამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

სამწუხაროდ, მოხსენება ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. მომხსენებელი ზოგადად შეეხო საკითხს, მან წარმოადგინა არა სწორად იხმარებული სიტყვების ნიმუშები, შეეცადა განემარტა თუ როგორ უნდა იხმარებოდეს ესა თუ ის სიტყვა, მაგრამ მან ვერ მოგვცა ენის ბუნების სწორი განმარტება და თითქმის არაფერი უთქვამს [illegible] ხელების წარმოების წესის შე[illegible] სოდ კი ენის საკითხის გარკვევ[illegible] ქება შეუძლებელია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა [illegible] რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ი. [illegible] შაშვილმა, ჯანელიძემ, ბეს. ჟღენტმა, კ[illegible] გამსახურდიამ, სიმ. წერეთელმა.

გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საჭიროა ამ საკითხის საფუძვლიანად დამუშავების მიზნით, სალიტერატურო წრემ უფრო ფართო მასშტაბით მოაწყოს სადისკუსიო ხასიათის მოხსენებები.

ლიტქრონიკა

რომანი „ნაბიჯები“

პანტელეიმონ ჩხიკვაძე სწერს რომან-ეპოპეიას სახელწოდებით **„ნაბიჯები“**. რომანი გამოვა სამ წიგნად. მასალები აღებულია რევოლიუციონურ ბრძოლებიდან (1905—1930). პირველი წიგნი „ქარიშხლის მოლოდინში“ უკვე დაწერილია, რომლის ბეჭდვა დაიწყება 1932 წლის იანვრიდან ჟურ. „მნათობში“. ცალკე წიგნად გამოსცემს სახელგამი.

მეორე წიგნში „აშენდა საქართველო“-ში მიცემული იქნება მენშევიკური საქართველო. (ბოლშევიკური ბრძოლები მენშევიკურ საქართველოში). წიგნი დასრულდება 1932 წელში და დაიბეჭდება იმავე ჟურნალში.

მესამე წიგნი შეეხება საბჭოთა მშენებლობას საქართველოში.

„ნამუსი“

გამოვიდა ქართულ ენაზე სახალხო მწერლის შირვან-ზადეს ცნობილი რომანი „ნამუსი“. თარგმანი ი. გრიშაშვილის. გამოცემა სახელგამის.

საბავშო ლიტერატურის კონფერენცია

ცენტრალური საბავშო ბიბლიოთეკის ინიციატივით, ახლო მომავალში ტფილისში მოეწყობა საბავშო ლიტერატურის კონფერენცია.

უნდა აღინიშნოს, რომ საბავშო ლიტერატურას ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ის თითქმის მივიწყებულია.

საჭიროა ამ კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა პროლეტარულმა მწერლებმა და განსაკუთრებით მწერლობაში გაწვეულმა დამკვრელმა მუშებმა.

პიესა ინდუსტრიალიზაციაზე

პოლიკარპე კაკაბაძე რუსთაველის თეატრის დაკვეთით სწერს ახალ პიესას: „ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია“.

იგივე ავტორი სწერს სახელმწიფო ოპერისათვის ლიბრეტოს თავისი პიესის „ბახტრიონის“ სიუჟეტზე. ოპერას სწერს კომპოზიტორი გრ. კილაძე.

ბრძოლა პროლეტარულ მხატვრობის შექმნისათვის

(დისკუსია სარმა-ს გამოფენის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ხელოვნებისა და ლიტერატურის სექციებში)

საქ. რევ. მხატვართა ასოციაციის—სარმ-ას ოქტომბრის გამოფენის გარშემო, ხელოვნებისა და ლიტერატურის სექციის სახვით ხელოვნების სექციამ—ჩაატარა ფართო დისკუსია თემაზე: „სოციალისტური რეკონსტრუქცია და ხელოვნება“.

დისკუსია გაიხსნა ამხ. ბოკუჩავას შესავალი [illegible]

[illegible]

...კლასიურ ბრძოლას, სარმ-ას განვითარების ეტაპებზე—და აღნიშნა, რომ მხატვართა ერთი ნაწილი მემარჯვენე და „მემარცხენო“ პრაქტიკის აშკარა მატარებელი შეიქმნა და ნათელი ხდება მათი სარმ-ას რევოლიუციონური პრაქტიკიდან დაშორება (კანდელაკი, წერეთელი და სხვ.) მხატვართა მეორე ნაწილი [illegible] თანამგზავრობის გზას და ბევრი ამათგანი პროლეტ. ხელოვნების [illegible] ხდება. ამ მხრით დამახასიათებელია ცნობილ მხატვართა ლადო გუდიაშვილის და პროფ. მოსე თოიძის მხატვრული პრაქტიკა. გამოფენამ გამოაშკარავა, რომ სარმას შიგნით ჩაისახა და იზრდება საქ. რევ. მხატვრების პროლეტარული ფრთა. (მაისაშვილი, ლემაევა, სანაძე და სხ).

მოხსენების შემდეგ სახვითი ხელოვნების ქ. სექციის დავალებით სპეციალურ თემებზე შეეხნენ: ამხ. ბოკუჩავა — „სოციალისტური რეკონსტრუქცია სარმა-ს გამოფენაში ასახული“; ამხ. შ. ამირანაშვილი—„სოციალისტური შინაარსი და ნაციონალური ფორმის საკითხი გამოფენის მასალების და მიხედვით“; ამხ. თ. ვირსალაძე—„კოლმეურნე-გლეხის მარადაშვილის შემოქმედება“: ამხ. ბარტი—„პლაკატები“; ამხ. კეშელავა—„საბჭოთა კავშირის დაცვა და სარმა“-ს გამოფენა“; ამხ. ამიროვი—„ქანდაკება“; ამხ. ჯ[illegible]ძე—„მწერლობისა და სახვითხელოვნების [illegible]“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: კანდელაკმა, პროფ. თოიძემ, დ. წერეთელმა, სოკოლოვმა, კროტკოვმა, ტკაჩევმა (წ. არმ.), მაყაშვილმა, მერაბიშვილმა, რომანიშვილმა, პროფ. კაკაბაძემ, წილოსანმა, ბესო ჟღენტმა, ქუთათელაძემ, თავაძემ და სანაძემ.

კამათის დროს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შეცდომების დაშვებას, რაც ზემოთ მხილებულ და მითითებულ იქნა. ამხ. მირზოევმა შეცდომა დაუშვა კულაკებთან ბრძოლის საკითხში, მირზოევმა იქვე აღიარა თავისი შეცდომა ამხ. ამირანაშვილმა სწორად ვერ განმარტა ნაციონალური ფორმის საკითხი და სხ. კანდელაკმა, პროფ. კაკაბაძემ, დასხვ. უგულვებელყვეს სარმა-ს პროლეტარული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ერთი სიტყვით დისკუსიამ გადაშალა სახვითი ხელოვნების ფრონტზე წარმოებულ გამწვავებულ კლასიური ბრძოლის სურათი და აშკარა ჰყო სარმა-ს პროლეტარული ფრთის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანები.

დისკუსიამ გამოაშკარავა სარმას მუშაობის უარყოფითი მხარეებიც—როგორც მაგალითად: უყურადღებობა საბჭოთა კავშირის დაცვის საკითხისადმი, პარტიის როლის და ხელმძღვანელობის აუსახველობა სარმ-ას გამოფენაში, იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის სისუსტე სარმა-ში და სხვ.

ამხ. მირზოევი თავის საბოლოო სიტყვაში მკაცრი კრიტიკით გამოვიდა იმ ოპონენტების წინააღმდეგ, რომელნიც თავს ესხმოდენ სარმ-ას პროლეტარულ ხელმძღვანელობას.

დისკუსია დაიხურა ხელოვნების [illegible] სექციის წარმომადგენლის სიტყვ[illegible] მელმაც აღნიშნა დისკუსიის მთავარ[illegible] მენტები. შეაჯამა სამი სხდომის განმავლობაში წარმოებული მუშაობა და ხაზი გაუსვა დისკუსიის მიმდინარეობაში წამოჭრილ პრობლემებს.

კ—ი.

ალ. ბარამიძე (?)

ჟანრის შესახებ

1. ლიტერატურული ცხოვრების არეში შეინიშნება ადრევე ნაცნობი ფაქტი ჟანრების ცვლისა და მათი ხელახალი კანონიზაციის, რომელიც მუდამ სოციალ - პოლიტიკურ გარდატეხათა გვერდით მიიმართებოდა.

ბურჟუაზიული მეთოდოლოგია ლიტერატურის ისტორიის ამ ფაქტს განიხილავდა, როგორც „პიროვნებათა როლის“ ერთ-ერთ სახეობას მწერლობაში. კაზმულსიტყვიერების განვითარების მიზეზობრივ დასაბამს ეძიებდინ სუბიექტში, მწერლობის გზა მიჩნეული იყო „ლიტერატურულ გენერლების“ ბიოგრაფიად.

ეს დაძველებული თეორია ამჟამად არ საჭიროებს კრიტიკას.

აუცილებელია მხოლოდ ერთი თვალსაჩინო მოვლენისადმი მითითება: რომ ლიტერატურა წარმოადგენს სისტემას და ამ სისტემის ფარგლებში ხდება **ნოვატორის** მიერ ადგილის დაძებნა. მწერლის წინაშე მუდამ დგას ერთი დილემა: როგორ და რა გზით დაიჭიროს სავარძელი თანამედროვე ლიტერატურის ავანსცენაზე. ამ მიჯნასთან დგომისას იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს სცენიურ სივრცესა და რეკვიზიტს.

საკითხის არსებითი ვითარების უფრო მარტივს ფორმებში გასათვალისწინებლად საკმაოა ყოველსათვის ცნობილი დებულების აღნიშვნა: ლიტერატურა არსებობს მხოლოდ სოციალური ფუნქციის ძიებაში, რომ ეს ფუნქცია (სოციალ - პოლიტიკური მომენტი) განსაზღვრავს მთელს მის სტრუქტურას.

როდესაც მე-19 საუკუნის ქართულს მწერლობაში, ახალი სოციალური ძვრების წყალობით, მოხდა ძველი სისტემის შეცვლა ახალით, პირველს უკვე აღარ შეეძლო ინერციის გზითაც სიარული. ეს ფაქტი აღნიშნა „მამათა და შვილთა“ ცნობილი ბრძოლით.

გრ. ორბელიანი სწყევლიდა ახალი ლიტერატურული სისტემების თავის ჩენას. ეერიში ძველი ენობრივი ნორმათა დაცვის პოზიციიდან იყო წარმოებული. ეს ბრძოლა არ გახლდათ „სუბიექტურ განწყობილებათა“ შე[illegible] ლება: იგი აშკარავებდა მიმა[illegible]ლი სისტემის სოციალური ფუნქციის გაცვეთას. გრ. ორბელ[illegible]სა და ა. იოსელიანის მეტყველებითი ნორმებს ადგილი არ ჰქონდათ ახალი სისტემების კანონიზაციის დროს. ჟანრების ელემენტები რყევას განიცდიდენ.

როდესაც ვითვალისწინებთ საქართველოს მაშინდელ სოციალ - პოლიტიკურ ვითარებას, კლასიური ძალების [illegible], ზემოდ მოყვანილი ფაქტი მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება გასაგები: **ლიტერატურულმა პლანმა სისტემების ბრძოლით აღნიშნა სოციალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებანი**

2. ფეოდალურ საქართველოს უალრესად განვითარების ეპოქებში გავრცელებული ჟანრები ბატონობდენ. ასეთი იყო ოდა და ოდის ეპიური კანონიზაცია (ჩახრუხაძე, შავთელი, რუსთველი) თამარის ეპოქაში. დაირღვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა ფეოდალური საქართველოსი და ეს სისტემებიც პერიფერიაში მოექცენ. სამაგიეროდ ცენტრი დაიჭირეს სხვა სისტემებმა. ასე, მაგ. მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაში კანონდება რელიგიური ხოტბანი (გურამიშვილი), ბესიკის ტავტოლოგიური ინტონაცია და საერთოდ — მამუკა ბარათაშვილის პოეტიკაზე აღმოცენებული დაბალი ფორმები. (ფაქტი, რომელმაც მე-17 საუკუნეში იჩინა თავი).

ამ ლიტერატურული პლანის ანალოგიისათვის სოციალურ არეში: მე-18 საუკუნემ არ იცოდა ერთი მეფის აბსოლუტიზმი და სამეფოს კარის დიდი რიტუალები. სახელმწიფოებრივი ორგანიზმი დაქუცმაცდა. რუსეთიდან მომავალი ბიუროკრატიზმი ფეოდალური არტახების საბოლოო დაწყვეტას მოითხოვდა.

ანალოგიური ფაქტების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან.

3. თანამედროვე ლიტერატურაში ხელახლა ისმის ჟანრის საკითხი.

საკითხის მართებული გადაჭრისათვის კი აუცილებელია ლიტერატურულ სისტემათა ცვლის ისტორიის გათვალისწინება. ლიტერატურის მეცნიერებას ევალება არა ზოგადი საუბარი მწერლობაზე, არამედ არგუმენტაცია თვითონ მწერლობის ფაქტებით.

ეს სიძნელე განსაკუთრებით თავს ყოფს ჟანრის სტილიური შედგენილობ[illegible] ანალიზისას. უკანასკნელიდან ხშირად დამოკიდებულია მისი **სოციალური ფუნქციის** გამო[illegible]ება.

ჩვენ მოგვეპოვება ლიტერატურის ცნების ამომწურავი და განმმარტებელი (**სისტემის** მხრით) ტერმინი **„კაზმულსიტყვიერება“**. იგი მიუთითებს, რომ ლიტერატურა არ არის მარტო **სიტყვიერება**, არამედ **კაზმული** ე. ი. კონსტრუქტიული სახე სიტყვიერების. სიტყვა-მასალა უნდა დეფორმაცირებულ იქნას, იქცეს სისტემის შემავალ ელემენტად.

აქედან — ლიტერატურის ამ მასალის გამოყენების **წესების** სიმრავლე. მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ეს გამოიხატა ლიტერატურულ **სკოლათა ბრძოლით**.

ეს ბრძოლა იყო კლასთა ქიდილის ნაწილი.

ამჟამად ჩვენ ძალთა სხვაგვარი გადაჯგუფების წინაშე ვდგევართ: კლასთა ბრძოლის გამწვავების პერიოდში გვაქვს პროლეტარული **დიქტატურის** მიერ მოსუფთავებული ხიადაგი ეკონომიურ სფეროში. ამ ხიადაგზე მოწინააღმდეგე კლასს დასაყრდენი არ რჩება, იგი გამზადებულია აუცილებელი დაღუპვისათვის.

კაზმულ სიტყვიერების სისტემური გზა მიდის დიალექტიურ - მატერიალისტური მეთოდის მთელი სისავსით ათვისებისაკენ.

ჟანრის, როგორც ამ სისტემაში მემავალ ძირითადი ელემენტის, საკითხიც სხვა რიგ გადაჭრას მოითხოვს.

4. თვითეული თხზულება ლიტერატურაში შედის ერთერთი ელემენტის წინაპლანზე წამოწევით: ამ ელემენტთა გაცვეთა, გასვლა ლიტერატურიდან და მისი ხელახალი დაბრუნება (შეცვლილი ფუნქციით) და სხვა გამოწვეულია ჟანრების ცხოვრების იმ დიალექტიკით, რომლის შეხება ზემოდ ვსთქვით და რომლის ახსნა მარქსისტულ-ლენინური კვლევის ფარგალში შედის.

ამიტომაც ჟანრის საკითხის გადაჭრისას არ შეიძლება საუბარი „მთლიანობის“ დაცვის წესებზე და ამ თვალსაზრისით გულუბრყვილო „დარიგებათა“ გადმოშლა ახალი მწერლობის პერსპექტივების დასახვის მიზნით.

სიტყვა „კომპოზიცია“ უნდა ამოვარდეს მხატვრული კრიტიკის ლექსიკონიდან. ამ ტერმინის პრაქტიკული შინაარსი უცნობია ყველა ცნობილი მწერლებისათვის: ჰომიროსისა და რუსთველისათვის. შექსპირისა და გოეთესათვის, სერვანტესისა და ტოლსტოისათვის.

„კომპოზიციას“ აროვებს პოეზიის კომპოზიციური ნულების მოცემით. (ცარიელი ადგილები „ევგენი ონეგინში“).

ჟანრი ირყევა, იცვლის სისტემას და ფუნქციებს.

ახალი ლიტერატურული ჟანრების კანონიზაციის შესახებ კამათის წარმოებისას ეს მომენტი უსათუოდ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

5. საბჭოთა ლიტერატურის, პროლეტარული მწერლობის მორიგ ამოცანად უნდა დაისვას ახალი სისტემების გარშემო დისკუსიის ჩატარება.

როგორი ლიტერატურული ჟანრები იქნებიან უფრო მეტი მოქმედებითი უნარის შემცველი რეკონსტრუქციის პერიოდში, ჟანრის რომელი ტიპი დაიკავებს აქტიურ ადგილს სოციალიური ყოფის ძველ ფორმათა გარდაქმნის უდიდეს პერიოდში, როგორი საშუალებანი უნდა იქნას დაძებნილი სიტყვაკაზმული მწერლობის მიერ მომავალი ბრძოლების საწარმოებლად — აი, ის მთავარი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ბევრითაა დამოკიდებული ჟანრების განვითარების ისტორიული სურათის გათვალისწინებიდან და რომელიც მოგვცემს თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის დაფასებისა და ძველ სისტემათა წინამძღვრების უგულვებელყოფის კრიტერიუმს.

თავის მხრით ეს შეიქნება კონკრეტული კრიტიკის ერთ-ერთ დამხმარე მომენტად.

ამ საკითხების გადაჭრა დაეხმარება ქართულ ლიტერატურას — თავის პლანში აღნიშნოს სოციალისტური მშენებლობის თვითეული წვრილმანი.

სარედაქციო კოლეგია

რ. გვეტაძე, ნ. მიწიშვილი, შ. რადიანი, (პ. მ. რედაქტორი), ა. სულავა, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, ს. წვერავა.

რედაქცია მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი 1-65.

გამომცემელი სახგამომცემლობა

ვ. ლორთქიფანიძე (?)

ქართული ჟირონდის მწ რლობა

გამოვიდა და იყიდება ყველგან.

გამოცემა სახელგამის.

სტამბა გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის, კამოს ქ. № 68

ტირაჟი 4.000. მთავლიტი № 2323